მარიამ ხოფერია

საქართველოს ისტორიის ტერმინთა ლექსიკონი

მარიამ ხოფერია

სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონი

თბილისი

2012

სამართლის ისტორიის ტერმინთა ლექსიკონი

საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორიის ტერმინთა წინამდებარე ლექსიკონი შედგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის — ***საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია*** — მიხედვით. ლექსიკონში თავმოყრილია ის ძირითადი ტერმინები, რომლებიც აღნიშნული საგნის ფარგლებში ისწავლება.

ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ტერმინთა უკეთ შესწავლაში.

დიდ მადლობას ვუხდი ლექსიკონის რედაქტორს ბატონ ნ. სურგულაძეს და რეცენზენტებს ქალბატონ მ. გარიშვილსა და ბატონ დ. ბოსტოღანაშვილს კვალიფიციური რჩევებისა და საქმიანი შენიშვნებისათვის; ბატონ დ. ჩიკვაიძეს ბერძნულენოვან ტერმინებზე გაწეული დახმარებისათვის. ასევე ტექნიკურ რედაქტორებს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ლექსიკონის გამოცემის საქმეში.

სამეცნიერო რედაქტორი
სრული პროფ. ნუგზარ სურგულაძე

რეცენზენტები:
ასოც. პროფ. დავით ბოსტოღანაშვილი
ასოც. პროფ. მარინა გარიშვილი

ტექნიკური რედაქტორები:
დიმიტრი გეგენავა
დემეტრე ეგნატაშვილი

Feci quod potui, faciant meliora potentes

ძველი აღმოსავლეთი

ა

აველუმი (აქად. Avêlum ძე კაცისა, მამაკაცი, ადამიანი) — ბაბილონში სრულუფლებიანი თავისუფალი მოსახლე, ძირითადად, მეთემე.

ართჰაშასტრა (სანსკ: მეცნიერება პრაქტიკული ცხოვრების შესახებ) — ძველ ინდოეთში საერო ლიტერატურის ჟანრი, სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის ხელოვნების ტრაქტატი (მაგალითად, კაუტილიას ართჰაშასტრა).

არშა — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა. ამ დროს ქალიშვილს ათხოვებდნენ განსაწავლულ ან რიში (ბრძენი) მამაკაცზე. დრაჰმაშასტრას გადმოცემით, ქალიშვილის მამა სასიძოსაგან ხარს ან ორ ძროხას ღებულობდა.

ასურა — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა, რომლითაც იგულისხმებოდა მშობლებისაგან საცოლის გამოსყიდვას

სასიძოს მიერ, რომელიც ხშირად არ იყო საპატარძლოს შესაფერისი, რისთვისაც ის იხდიდა იმდენს, რამდენის შესაძლებლობაც ჰქონდა.

ბ

ბაირუმი (შუმერ. Bâ'irum მეთევზე; აქად: [თევზისა და ფრინველის] დამჭერი) — მხედრების კატეგორია; ბაბილონში ბეგარავალდებული პირი, რომელიც სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან მიწის ნაკვეთს იღებდა.

ბიბლუმი (აქად. Biblu(m) მოტანილი) — ბაბილონში წინასაქორწინო საჩუქარი (თანხა ან ნივთი), რომელსაც სასიძო ან მისი მამა საპატარძლოს მამას უხდიდა.

ბრაჰმა — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა. მამაკაცს, რომელიც დაასრულებდა თავის ბრაჰმაჩარიას ცოლის შერთვის უფლება ეძლოდა. ვაჟის მშობლები უთანხმდებოდნენ საცოლის ოჯახს ქორწინების შესახებ. ბრაჰმა ქორწინებისას მზთევის გადაცემა არ ხდებოდა.

ბრაჰმანი – ძველ ინდოეთში საზოგადოების უმაღლესი კასტის წევრი, ქურუმი. იგი უფლებამოსილი იყო შეესწავლა და ესწავლებინა

საღვთო წიგნები, ღმერთებისათვის მსხვერ-
პლის შეწირვა როგორც თავისი, ასევე სხვი-
სი სახელით, გაეცა და მიეღო საჩუქრები.
ბრაჰმანს ეკრძალება ნებისმიერი სახის სამ-
სახური. ბრაჰმანი ეხმარებოდა ქვეყნის
მმართველებს სახელმწიფოებრივი ხელისუფ-
ლების განხორციელებაში.

გ

განდჰარვა — ძველ ინდოეთში ქორწინე-
ბის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც მხოლოდ
საპატარძლოსა და სასიძოს ნებას ეფუძნებო-
და.

დ

დაივა — ძველ ინდოეთში ქორწინების სახ-
ეობა, რომლის დროსაც ქალიშვილის სასუ-
ლიერო პირზე ათხოვებდნენ.

დანდა — (სანსკ. კვერთხი, ჯოხი) —
მართვის ხელოვნება — „დანდანიტი“,
ითარგმნება როგორც კვერთხით ხელმძღვა-
ნელობა (ფლობა).

დევარაჯი — ძველ ინდოეთში „ღვთის
სასურველი მეფის“ პოლიტიკური კონცეფცია,
რომლის მიხედვითაც მეფე ვალდებული იყო
მშიდობისა და წესრიგის დამცავი საგანგებო
დჰარმა შეესრულებინა.

დეკუმი — (აქად. Dêkûm დაძახება) მხედართა უფროსის კატეგორია; ჯარში ხალხის გაწვევაზე პასუხისმგებელი პირი.

დი — (ჩინ.) ცინის პერიოდის ჩინეთში მმართველის წოდება; მმართველი, რომელმაც იმპერიის საზღვრებში მრავალი ტერიტორია გააერთიანა და იმპერატორის (ანუ დი-ს) წოდება მიიღო.

დჰარმა — ძველ ინდოეთში (რელიგიურ-რიტუალური, ზნეობრივი, სამართლებრივი) ქცევის სავალდებულო წესი, რომელიც ოთხივე კასტის წარმომადგენლის ყოველდღიურ ქცევის აწესრიგებდა.

ვ

ვაიშა (სანსკ. ხალხი, ტომი, მოსახლეობა) — ძველ ინდოეთში მიწათმოქმედებისა და ხელოსნების ყველაზე მრავალრიცხოვანი კასტა.

ვანი (ჩინ.) — გაღმერთებული მმართველის წოდება ძველ ჩინეთში, მეფე, „ცის შვილი“ და პირველი ქურუმი.

ვარდუმი (სანსკ. Wardum) — მესოპოტამიაში მონა.

ვედები (სანსკ. ცოდნა) — ძველ ინდოეთში რელიგიური ლიტერატურის ძეგლები, რომ-

ლებიც მითებს, რელიგიურ ჰიმნებს, შელოცვის ფორმულებს, ყოფა-ცხოვრების წესებს შეიცავენ.

თ

თამძარი (აქად. Tamkarrum) — ბაბილონში 1. სახელმწიფო სავაჭრო აგენტი და გადასახადის ამკრეფი; 2. ვაჭარი, მევახშე, გამსესხებელი. (იხ. შამალუმი)

თერხათუმი (აქად. Terhattum საქორწინო გამოსასყიდი) — ბაბილონში სასიძოს მიერ საპატარძლოს მამისათვის გადახდილი თანხა, საპატარძლოს ერთგვარი გამოსასყიდი თანხა.

ი

ილკუმი (აქად. Ilkum) ბაბილონსა და ასურეთში სამხედრო სამსახურისათვის მეფის მიერ ნაწყალობევი ქონება, რომელიც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იყო.

ისაკუ — ბაბილონში მეფის მოადგილე, რომელიც ქალაქის მმართველობას ზედამხედველობდა.

კ

კასტა — შუა საუკუნეების აზიის ზოგ ქვეყანაში ჩაკეტილი, მემკვიდრეობითი, ენ-

დოგამიური სოციალური ჯგუფი, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული საქმიანობა, ცხოვრების სტილი და ჩვეულება ჰქონდა. კასტები 1947 წელს ოფიციალურად გაუქმდა.

კენბეტი — ძველ ეგვიპტეში კოლეგიალური სასამართლო ორგანო, რომელიც 30 წევრისაგან შედგებოდა.

ლ

ლევირატი (ფრანგ. Lévirat მაზლი) — ძველ პერიოდის სამართალში საქორწინო ჩვეულება, რომელიც მაზლს დაქვრივებულ რძალზე დაქორწინებას ავალდებულებდა.

ლი — ძველ ჩინეთში ეთიკურ-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საზოგადოების წევრების ურთიერთდამოკიდებულებას მმართველისა და ოჯახის წევრების მიმართ.

ლუბუთუმი (აქად. Lubbutûm ძლიერი კაცი) ბაბილონში მხედართა უფროსის კატეგორია. შუმერში სატაძრო მეურნეობის მმართველი.

ლუგალი (აქად. Lugal ბატონი, დიდი ადამიანი) — მესოპოტამიაში სახელმწიფოს მმართველის წოდება. (**პატეს-ლუგალი** რამდე-

ნიმე პატესიატის მმართველის წოდება, ისევე როგორც **ენსი** - გვარის მეთაური, ტაძრის დამაარსებელი).

მ

მაატი — ძველ ეგვიპტეში 1. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის რელიგიურ-ზნეობრივი პრინციპი, რომლის დაცვა ფარაონის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნეოდა; 2. ეგვიპტურ მითოლოგიაში სამართლიანობისა და წესრიგის ქალღმერთი (საბერძნეთში - თემიდა, ბაბილონში - კიტუ).

მანტრიპარიშადი — ძველ ინდოეთში რაჯასთან არსებული და რაჯას მრჩევლებისაგან შემდგარი კოლეგიალური სათათბირო ორგანო, რომელიც უფლებამოსილი იყო განსაზღვრულ სახელმწიფო საკითხებზე დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება.

მერეთი — ძველ ეგვიპტეში მდაბიოს აღმნიშვნელი ტერმინი.

მიშარუმი — მესოპოტამიაში ბრძანებულება, რომელიც პერიოდულად გამოიცემოდა გლეხებისათვის ვალების პატიებისა და დაგირავებული ქონების უსასყიდლოდ დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მუშქენუმი (აქად. Muškênum ძღვენის მიმტანი, დამორჩილებული) — ბაბილონში სამეფო კარის მსახურეულობის დაბალი კატეგორია, რომელიც სამსახურისათვის მეფისაგან პირობით მფლობელობაში მიწის ნაკვეთს ღებულობდა.

ნ

ნემჰუ — ძველ ეგვიპტეში მოსახლეობის (*მიწათმფლობელები, ხელოსნები, მეომრები, წვრილი მოხელეები*) გარკვეული ჯგუფი, რომელიც სამართლებრივი მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდებოდა ნეჯესისაგან.

ნეჯესი — ძველ ეგვიპტეში მეფის მსახურთა საერთო მასიდან გამოყოფილი ფენა, რომლის წარმოშობდა დაკავშირებულია კერძო მიწათმფლობელობის სასაქონლო-ფულად ურთიერთობებისა და ბაზრის განვითარებასთან.

ნომი — 1. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალაქ-სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის პირველი ფორმა; 2. ძველ ეგვიპტის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი, მხარე.

ნომარქი — ძველ ეგვიპტეში ნომის მმართველი.

ნუბანდა — ბაბილონში სასახლის მმართველი, რომელსაც ევალებოდა ჯარის სარდლობა, მეფის ხაზინის განკარგვა, საირიგაციო სისტემების მოწესრიგება.

ნუდუნუმი (აქად. Nudunnûm) ქვრივობის წილი (საჩუქარი), რომელიც ცოლს უზრუნველოყოფისათვის გადაეცემა ქმრის გარდაცვალების შემდეგ.

ო

ორდალი (ფრანგ. Ordalie წესრიგი; მსჯავრი) — ძველ და შუა საუკუნეების სამართალში სასამართლო მტკიცებულების განსაკუთრებული ფორმა, ე.წ. „ღვთის მსჯავრი"; (ცეცხლით, წყლით და ა.შ. გამოცდა).

პ

პაიშაჩა — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა, რომლითაც იგულისხმებოდა მძინარე, მთვრალი ან უგონო ქალის ფარული დაუფლება.

პრატილომა — ძველ ინდოეთში სხვადასხვა კასტის წევრებს შორის ქორწინების აკრძალული ფორმა [ბრაჰმან ქალსა და შუ-

დრა მამაკაცს შორის, **ანულომა** კი ბრაჰმან კაცსა და შუდრა ქალს შორის].

პრავჯაპატია — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა, რომლითაც, საგანგებო სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, საასიძოსათვის საპატარძლოს გადასცემა იგულისხმებოდა.

პუროხიტა — ძველ ინდოეთში 1. მეფის მრჩეველი სამართლებრივ და რელიგიურ საკითხებში; 2. სამეფოს უმაღლესი ქურუმი და მოსამართლე.

რ

რაბიანუმი (აქად. rabi‘ânum) — ბაბილონში მეფის მიერ დანიშნული თემის მამასახლისი.

რაკშასა — ძველ ინდოეთში ქორწინების ერთ-ერთი სახეობა, რომლითაც საცოლის მოტაცება იგულისხმებოდა.

რედუმი (აქად. rêdûm მდევნელი, მეხრე) — ბეგარავალდებული პირი, რომელსაც მიღებული აქვს სამეფო მიწის ნაკვეთი სამხედრო სამსახურის შესრულების მიზნით; მაგალითად, ტაძრის, მეფის, მოსამართლეების რედუმები, რომლებიც სხვადასხვა სახის დავალებას ასრულებდნენ.

რეინკარნაცია — სულთა გადასახლება.

ს

საბხა, სამიტი — ძველ ინდოეთში 1. წარჩინებულთა და ხალხის წარმომადგენელთა კრება; 2. ოთხი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო კოლეგია, რომელსაც ბრაჰმანი მეთაურობდა.

სეკულარიზაცია (ფრანგ. sécularisation) – სატაძრო-საეკლესიო ქონების (მოძრავი-უძრავი) გასახელმწიფოებრიობა.

სმრიტი (სანსკ. დამახსოვრება, მახსოვრობა) — ძველ ინდოეთში ზეპირი ფორმით გადაცემული სამართლებრივი ცოდნა, რომელიც მოგვიანებით, რელიგიური, ზნეობრივი და სამართლებრივი მინაწერების კრებულებში აისახა.

ქ

ქშატრია — ძველ ინდოეთში იერარქიულად მეორე საფუხურზე მდგომი კასტის წევრი, რომლის უფლება-მოვალეობა ქვეშევრდომთა დაცვა, წყალობის გაცემა, საკუთარი სახელით მსხვერპლის შეწირვა, ვედების შესწავლა და ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა იყო. ქშატრიებს ევალებოდათ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში მონაწილეობა.

შ

შამალუმი (შუმ. Šamallû(m) — ჩანთის მატარებელი) — ბაბილონში მტვირთელი, საქონელის გამსაღებლი; თამქარის სავაჭრო აგენტი, რომელსაც თამქარი სხვადასხვა სესხს აძლევდა და რომლის წინაშეც იგი იყო პასუხისმგებელი.

შანფუ — ვანის პირადი ნება-სურვილების აღმსრულებელი, ადმინისტრაციული და სამხედრო ფუნქციების განმკარგავი.

შაქანაქუმი (აქად. Sakkanakkum) — ბაბილონში ოლქის (პროვინციის) მმართველი.

შენში — ძველ ჩინეთში პროფესიული სამოხელეო აპარატი.

შერიკთუმი (აქად. Šeriktum) — ბაბილონში მზითევი, რომელიც ქალიშვილს გათხოვების ან ტაძარში ქურუმად აღკვეცის შემთხვევაში მიეცემოდა (**ნადითუმი** (სანსკრ. უნაყოფო) — „ღვთის ხასა“, ქურუმი ქალი, რომელსაც სამეფო მიწაზე წილი ჰქონდა; **ენთუმი** — „ღვთის ქალბატონი“ ან „ღვთის და“; **ზიქრუმი** — ტაძრის მეძავი ქალი).

შუდრა — ძველ ინდოეთში ყველაზე დაბალი კასტის წარმომადგენელი, რომლის მო-

ვალეობა ზემდგომი წოდებების მსახურება იყო. შუდრა პირადად თავისუფალი ადამიანი იყო, მაგრამ პოლიტიკური უფლებით არ სარგებლობდა.

ჩ

ჩანდალი — ძველ ინდოეთში ხელმიუკარებელთა კასტა, რომელიც ვარნების სისტემის მიღმა იმყოფებოდა.

ჯ

ჯატი — ძველ ეგვიპტეში მაღალჩინოსანი მოხელე, რომელიც ფარაონის მითითებით სახელმწიფოს ყველა საქმეს ხელმძღვანელობდა.

ელადა და რომი

ა

აგორა (ბერძ. Αγόρα) — ძველ ათენში სახალხო კრება, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი უმაღლესი ორგანო.

ანტიხრეზა (ბერძ. αντίχρηςα) — ანტიკურ სამართალში ხელშეკრულება, რომლის თანმადაც კრედიტორს უფლება ჰქონდა დაგირავებული ნივთის ნაყოფით, როგორც პროცენტით, ისე ესარგებლა ხელშეკრულების მიხედვით.

არეოპაგი (ბერძ. Αρεοπάγης) — ძველ ათენში ტომობრივი არისტოკრატიის უმაღლესი ორგანო, რომელიც უზენაეს ხელისუფლებას ახორციელებდა. არეოპაგის წევრს არეოპაგიტი ეწოდებოდა.

არქაგეტი (ბერძ. Αρχαγέτη) — სპარტაში ტომობრივი არისტოკრატიის მეთაური, ბელადი, რომლის წარმოშობაც დაკავშირებულია ლაკონიკასა და მესენიაში დორიელი და აქაველი ტომების შემოსევასთან, რის შედეგად სპარტაში ჩამოყალიბდა ორი არისტოკრატიული საგვარეულო — **აგეადები** და **ევრიპონპიდები**, რომელთა მეთაურებიც არ-

ჩევით არქაგეტის თანამდებობას იკავედნენ. როგორც წესი, სპარტაში სამხედრო ქურუმ-თუხუცესისა და სამემკვიდრეო საკითხების გადაწყვეტას ორი არქაგეტი ახორციელებდა. რვა წელიწადში სპარტიადი ეფორები რჩევი-სათვის მიმართავდნენ დელფოსის ორაკულს, რომელსაც ამა თუ იმ არქაგეტის თანამდე-ბობაზე ყოფნის მიზანშეწონილობა უნდა გა-დაეწყვიტა. გარდა ამისა, ეფორები თვეში ერთხელ არქაგეტებთან დებდნენ შეთანხმება, რომ თუ პატიოსნად შეასრულებენ საკუთარ მოვალეობას, არქაგეტი დარჩებოდა თანამდე-ბობდაზე, ხოლო ეფორი არ შეუძლიდა მას ხელს.

არქონტი (ბერძ. Ἄρχων) — ძველ ათენში თანამდებობის პირთა კოლეგია, რომელიც კლისთენეს რეფორმამდე უმაღლეს აღმარუ-ლებელ ხელისუფლებას ფლობდა. ამ კოლე-გიაში ცხრა წევრი იყო ეპონიმი, პოლემა-ქოსი, ბაზილევსი და ექვსი თესმოთეტი.

ატიმია (ბერძ. Ατιμία) — ელადაში პოლიტი-კური და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმე-ვა; უღისრად გამოცხადება.

ბ

ბასილევსი (ბერძ. Βασιλεύς) — 1. ჰომეროსის პერიოდის ელადაში არჩევითი ტომობრივი თანამდებობდა, ტომის ბელადი; 2. ძველ ათენში მეორე არქონ(ტ)ი, რომელიც რელიგიურ კულტს განაგებდა; 3.ბიზანტიაში იმპერატორის ერთ-ერთი წოდება.

ბულე (ბერძ. Βούλη) — 1. ჰომეროსის ეპოქაში უხუცესთა საბჭო; 2. სოლონის ეპოქაში ოთხასთა საბჭო; 3. კლისთენეს რეფორმების შემდეგ ხუთასთა საბჭო. ბულეს წევრს ბულეტი ეწოდებოდა

გ

გერუსია (ბერძ. Γερών) — სპარტაში უხუცესთა საბჭო. გერუსიის წევრს გერონტი ეწოდებოდა.

გრაფე პარანომონი (ბერძ. Γράφη παρανόμων) — ძველ ათენში ნებისმიერი მოქალაქის უფლება ჰელეიაში გაასაჩივროს ეკლესიაში შეტანილი კანონპროექტი, რომელიც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

დ

დელიქტი (ლათ. Delictum) — ძველ რომში სამართალდარღვევა, რომელიც კერძო პირს, მის ოჯახს ან ქონებას მიადგა. (iniuria, furtum)

დეპორტაცია (ლათ. Deportatio) — 1. სასჯელის სახე ძველ რომში, დამნაშავის სამისდღემშიო გაძევება.

დიქტატორი (ლათ. Dictator) — რომის რესპუბლიკაში განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი ერთპიროვნული მმართველი, თანამდებობის პირი, რომელსაც საგანგებო ვითარების დროს 6 თვის ვადის ირჩევდნენ (შემდეგ 1 წლით, ხოლო მოგვიანებით უვადოდ).

დოკიმასია (ბერძ. Δωκιμασία) — ძველ ათენში სახელმწიფო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატების საგანგებო შემოწმება.

დომინიუმი (ლათ. Dominium) — კერძო საკუთრების უფლება ძველ რომში, რაც ნივთზე სრულ ბატონობას გულისხმობდა.

ე

ეგზოგამია (ბერძნ. Εξογαμία) — ერთი გვარის ან თემის წარმომადგენლებს შორის ქორწინების აკრძალვა.

ედილი (ლათ. Aedilis) — რომაელი მაგისტრი, რომელსაც ევალებოდა საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობებზე, ქუჩების სისუფთავესა, ზომისა და წონის სიზუსტეზე მეთვალყურეობა. თავდაპირველად, ედილები სახალხო ტრიბუნთა თანაშემწეები იყვნენ. მოგვიანებით კი, ავგუსტუსმა მათი უფლებები შეზღუდა, რათა უფრო პროფესიონალური ადმინისტრაციული უწყება შეექმნა. ედილებს დაევალათ ეზრუნათ სახელმწიფო შენობების, ტაძრების, მოედნების სისუფთავესა და წესრიგზე; ისინი ხელმძღვანელობდნენ სპორტულ ასპარეზობებს, იცავდნენ სახელმწიფო ხაზინას, არიგებდნენ პურს და ა.შ.

ედიქტი (ლათ. Edictum) — 1. იმპერატორის კონსტიტუციების ერთ-ერთი სახე, მთელი მოსახლეობისათვის საერთო სავალდებულო განკარგულება; 2. რომაელი მაგისტრატების (მაგ., პრეტორის) საჯარო განცხადებები და ბრძანებები.

ევიკცია (ლათ. Evictio) — რომის სამართალში მყიდველისათვის ნივთის ფლობის უფლების ჩამორთმევა იმ სარჩელის საფუძველზე, რომელის ნივთის კანონიერმა მესაკუთრემ წარადგინა მის წინააღმდეგ.

ევპატრიდი (ბერძ. εὐπατρίδης) — ატიკის არისტოკრატიული მოდგმა, რომელიც ათენში კლისთენეს რეფორმებამდე პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდა და მხოლოდ მათ შეეძლოთ რაიმე სახელმწიფო თანამდებობის დაკავება.

ემანციპაცია (ლათ. Emancipatio) — ძველ რომში შვილების ან შვილიშვილების მამის ხელისუფლებიდან სამგზის ფიქტიური გაყიდვის გზით გათავისუფლება.

ემფითევზისი (ბერძ. Εμπιθεύσις) — ანტიკურ და შუა საუკუნეების სამართალში სხვის ნივთზე უფლების ნაირსახეობა, მიწის გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარა გასხვისების უფლებით.

ეფეტი (ბერძ. Εφέτος) — ძველ ათენში სასამართლო კოლეგია, რომელიც გაურფთხილებელი მკვლელობის საქმეებს განიხილავდა.

ეფორი (ბერძ. Ἔφορος) — სპარტაში ყოველწლირად ხუთ ეფორს ირჩევდნენ, რომელთაც, თავდაპირველად, მხოლოდ სასამართლო პროცესის წარმოება ევალებოდათ, ხოლო მოგვიანებით ყველა სახელმწიფო თანამდებობის პირსა და თვით არქაგეტს მეთვალყურეობდნენ. სპარტაში ხუთი ეფორის თანამდებობა ქრ.შობამდე 405 წელს არისტოკრატიული ოლიგარქიის წარმომადგენლებმა შემოიღეს.

ვ

ვეტო (ლათ. Veto) — ძველი რომში პლებეების უფლება დიქტატორის გარდა, ნებისმიერი მაგისტრატის გადაწყვეტილება უარეყოთ.

თ

თემენოსი (ბერძ. Θεμένος) — ჰომეროსის პერიოდის ელადაში ბასილევსის სასარგებლოდ გაღებული მიწის განსაკუთრებული ნადელი.

თეტი (ბერძ. Θέτος) — ელადაში გაღატაკებული მეთემე გლეხი, რომელიც ვალაუვალობის გამო მონად იყიდებოდა.

თოქსოტი (ბერძ. Θόξος) — ძველ ათენში პოლიციის ფუნქციების განმახორციელებელი სახელმწიფო მონა.

ი

იმპერატორი (ლათ. Imperator) — თავდაპირველად, ეს იყო საპატიო წოდება, რომელიც ძლევამოსილ მთავარსარდალს ენიჭებოდა. მოგვიანებით კი, იმპერიის უზენაესი მმართველის წოდება გახდა.

იმპერიუმი (ლათ. Imperium) — ძველ რომში უმაღლესი სამხედრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება, რომელიც გააჩნდათ დიქტატორს, კონსულს, პრეტორსა და ცხენოსანი რაზმების მეთაურებს; ასევე, ადგილობრივ რომაელ ნაცვლებს პროვინციებში (პროკონსულსა და პროპრეტორს).

ინსტიტუციები (ლათ. Institutiones) — ძველ რომში რომაელი იურისტების ნაშრომთა ერთ-ერთი სახე, რომლებსაც სახელმძღვანელოს დანიშნულება ჰქონდათ.

ინტენცია (ლათ. Intentio) — ძველ რომში პრეტორის ფორმულის მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც მოსარჩლის მოთხოვნები იყო მოცემული.

ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲐ (ბერძ. υποθεκή) — ანტიკურ (ბერძ-ნულ-რომაულ) სამართალში უძრავი ქონების დაგირავების სახე, როცა იპოთეკის ნივთი მევალეს რჩება.

Კ

ᲙᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ (ლათ. Quaestor) — დაბალი რან-გის თანამდებობა რომაულ მაგისტრატურაში. კვესტორად ნიშნავდნენ რომის მოქალაქეს მხოლოდ 30 წლის ასაკიდან. მისი საქმიანობა ძირითადად, ფინანსებთან იყო დაკავშირე-ბული. თავისი მოვალეობის აღსრულების შემდეგ ექს-კვესტორს საშუალება ეძლეობდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა სენატში ან სხვა დაწესებულებაში.

ᲙᲚᲔᲠᲣᲮᲘᲐ (ბერძ. Κλέρο მიწის ნაკვეთი, έχο - ვფლობ) — ელადაში ათენელთა სამხედრო დასახლება მოკავშირე პოლისში.

ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ (ლათ. Clientes) — ძველ რომში უცხოელები ან გაღარიბებული რომაელი მო-ქალაქე, რომელიც პარტიციული ოჯახის მფარველობაში იმყოფებოდა.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘ (ლათ. Colonus) — ძველ რომში თავდაპირველად, მიწის თავისუფალი მეი-ჯარე, ხოლო IV საუკუნიდან მიწაზე სამარ-

თლებრივად მიჯაჭვული გლეხი, რომელსაც ეკრძალებოდა საკუთარი დასახლების მიტოვება.

კომიცია (ლათ. Comitia) — ძველი რომის სახალხო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო მიეღო კანონები (განეხორციელებინა საკანონმდებლო საქმიანობა) და აერჩია მაგისტრატები. რომში შემდეგი სახის კომიციები არსებობდა 1. **ცენტურიის კრება** (Comitia centuriata) ძველ რომში მოქმედი სახალხო კრება, რომლის წევრები ხმას ცენტურიების ანუ ასეულების მიხედვით აძლევდნენ. 2. **კურიის კრება** (Comitia curiata) ძველ რომში მოქმედი სახალხო კრება, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 30 პატრიცი. 3. **ტრიბების კრება** (Comitia tributa) ძველ რომში მოქმედი სახალხო კრება, რომლის წევრები ხმას ტრიბების აძლევდნენ.

კონდემნაცია (ლათ. Condemnatio) — ძველ რომში პრეტორის ფორმულის ძირითადი ნაწილი, რომელშიც იგი მოუწოდებდა მოსამართლეს მოპასუხის გამართლების ან გამტყუნებისკენ.

კონსტიტუცია (ლათ. Constitutio) — იმპერიის პერიოდში იმპერატორის მიერ გამოცე-

მული აქტი (ედიქტი, მანდატი, რესკრიპტი, დეკრეტი), რომელიც სხვა მაგისტრატების აქტებისაგან განსხვავებით იმპერიის მთელს ტერიტორიაზე მოქმედებდა.

კონსული (ლათ. Consul) — რესპუბლიკის პერიოდიდან მოყოლებული კონსული იყო უმაღლესი წოდება, რომელიც იმპერიის პერიოდში საპატიო თანამდებობად იქცა. თავდაპირველად, სახალხო კრება ირჩევდა ორ კონსულს პატრიციათა მოდგმიდან ერთი წლის ვადით. მოგვიანებით, ქრ.შობამდე მიღებული იქნა ლიცინიუსისა და სექსტიუსის კანონი, რომლის თანახმადაც, ერთი კონსული აუცილებლად უნდა ყოფილიყო პლებსის წარმომადგენელი. კონსულები სარგებლობდნენ ხმის მიცემის უფლებით სისხლისსამართლებრივ სასამართლო პროცესებზე; ისინი განაგებდნენ სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ სფეროს, კერძოდ, მონებთან დაკავშირებული საქმეებს. მათ საპატიო მოვალეობად ითვლებოდა სახალხო ასპარეზობისა და რელიგიური ზეიმების მოწყობა. კონსულის თანამდებობაზე ყოფნა ამა თუ იმ პირს საშუალებას აძლევდა გზა გაეკაფა საზოგადოებრივ თუ სამხედრო სარბიელზე. კონსულთა ატრიბუტებად მიიჩნეოდა განსაკუთრებული ტოგა, საცერემონიო სავარძელი და პირად მცველთა ამალა. ქრ.შობამდე 153 წელს მიღებული კა-

ნონის თანახმად, კონსულთა ინაუგურაციის დღედ დანიშნული იყო 1 იანვარი.

კონტუმბერნიუმი (ლათ. Contubernium) — ძველ რომში მონასა და თავსუფალს შორის ქორწინების მსგავსი მუდმივი, თუმცა იურიდიული შედეგის არმქონე ოჯახური კავშირი, თანაცხოვრება.

კურია (ლათ. Curia) – 1. ძველ რომში პატრიციების ათი გვარის გაერთიანება; 2. იმპერიის პერიოდში პროვინციულ ქალაქებში მუნიციპალური მმართველობის ორგანო (ქალაქის სენატი); 3. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სენიორალური სასამართლო (სენიორის საბჭო თავის ვასალებთან ერთად) ან კათოლიკური ეკლესიის მმართველობის ცენტრალური ორგანოების ერთობლიობა (პაპის კურია).

ლ

ლეგატი (ლათ. Legatum) — რომაულ სამართალში საანდერძო დანაკისრი, რომლის თანახმადაც, მემკვიდრე ვალდებული იყო ანდერძში მითითებული პირისათვის ქონების განსაზღვრული წილი გადაეცა.

ლეგიონი (ლათ. Legio) — რომის იმპერიის სამხედრო შენაერთი, რომელიც 4 200 - 6 000 ქვეითი და 300 ცხენოსნისაგან შედგებოდა.

ლიქტორი (ლათ. Lictor) — პირადი მცველი. ტრადიციის თანახმად, ლიქტორთა ინსტიტუტი რომში ეტრუსკთა მიბაძვით დააარსა რომულუსმა. ლიქტორები, დაბალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ისინი მაღალჩინოსანთა წინ ჩამწკრივებულნი მიაბიჯებდნენ ფასკიებით ხელში. ყოველი მაგისტრატისათვის ლიქტორთა განსაზღვრული რაოდენობა იყო დაწესებული. ასე მაგალითად, დიქტატორის ამალაში 24 ლიქტორი ირიცხებოდა, კონსულს თან ახლდა 12, პრეტორს 6, იმპერატორს თავდაპირველად 12, მოგვიანებით კი 24 ლიქტორი.

ლიტურგია (ბერძ. λειτουργία) — ღვთისმსახურების აღსრულება. 1. ძველ ათენში მდიდარ მოქალაქეებზე სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრებული განსაკუთრებული მოვალეობა; 2. ქრისტიანული ეკლესიაში ღვთისმსახურება.

მ

მანდატი (ლათ. Mandatum) — ძველ რომში იმპერატორის კონსტიტუციების ერთ-ერთი სახე, ცალკეული მოხელეებისათვის მიცემული დავალებები.

მანციპაცია (ლათ. Mancipatio) — რომის სამართალში ნივთიების გასხვისების მკაცრად განსაზღვრული ფორმა, რომელიც ხორციელდებოდა სპილენძისა და სასწორის მეშვეობით.

მედიმნი (ბერძ.) — ძველ ათენში ზომაწონის ერთეული (51.84 ლიტრი).

მეტეკი (ბერძ. μέτοίκο) — ძველ ათენში მეტეკებად იწოდებოდნენ სხვა პოლისიდან ან ქვეყნიდან მოსული ის უცხოელები, რომელთაც ქალაქში ცხოვრების უფლება გარკვეული საზღაურის საფასურად ეძლეოდათ; თუმცა, მათ პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ.

ნ

ნაბკრარია (ბერძ. Ναυκραρία) — ელადაში ტერიტორიული ოლქი, რომელსაც სათავეში პრიტანი (იხ. პრიტანია) ედგა. ამ ოლქის მცხოვრებლებს სამხედრო გემისა და მისი

ეკიპაჟის ყოველწლიური აღჭურვა ევალებოდათ.

ნექსუმი (ლათ. Nexum) — რომის სამართალში ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომლის მეშვეობითაც მანციპაციის ფორმითა და მევალეზე „ხელის დადების“ მუქარით სხვადასხვა სახის ვალებულება (ქირავნობა, იჯარა, საკუთრების გასხისება) ფორმდებოდა.

ნობილიტეტი (ლათ. Nobilitas) – ქრ. შობამდე IV-III საუკუნეებში რომში ჩამოყალიბებული უმაღლესი წოდება, რომელიც ყველაზე ცნობილ პატრიციებსა და მდიდარ პლებეურ გვარებს აერთიანებდა.

ნოვაცია (ლათ. Novatio) — რომის სამართალში ხელშეკრულების მონაწილეთა ახალი პირებით ჩანაცვლება, ან დამატებითი კრედიტორის ან მევალის შემოყვანა, ან ვალდებულების შესრულების ადგილის, ვადის ან პირობის შეცვლა.

ო

ოპტიმატები (ლათ. Optimates) — ძველ რომში თავისუფალი მოქალაქეების გაერთიანება, რომელიც ემხრობოდა სენატს და

ქრ.შობამდე საუკუნეში პოპულარების მოწინააღმდეგეებად ითვლებოდანენ.

ოსტრაკიზმი (ბერძ. ὀστρακίσμὸς) — გაძევება ქოთნის ნატეხებით. ათენში, არგოსსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში არასასურველ ადამიანს სახელმწიფოდან წილისყრით აძევებდნენ. მოქალაქე თიხის ქოთნის ნატეხზე, რომელსაც „ოსტრაკონი“ ეწოდებოდა, ამოკაწრავდა მისთვის არასასურელი კაცის სახელს. ოსტრაკონებს აგროვებდნენ და ითვლიდნენ. მათი რიცხვი სამოცი ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ხმების დათვლის შემდეგ, გამოაცხადებდნენ იმ კაცის სახელს, რომელიც მეტ ხმას მიიღებდა და მას ათი წლით უნდა დაეტოვებინა ქალაქი, უკან პოლიტიკური უფლლების გარეშე დაბრუნების უფლებით.

პ

პატრიცეები (ლათ. Patricii) — ძველ რომში წარჩინებული უმაღლესი ჩაკეტილი წოდება, რომელთა წარმომავლობა საერთო წინაპრისაგან აითვლებოდა.

პედონომი (ბერძ. Παιδονόμος) — სპარტაში თანამდებობის პირი, რომელსაც 20 წლამდე ვაჟების აღზრდა ევალებოდა.

პეკულიუმი (ლათ. Peculium) — ძველ რომში მამასახლისის მიერ ვაჟიშვილის ან მონისათვის დამოუკიდებლად სამართავად გადაცემული ქონების ნაწილი.

პენტაკოსიომედიმნი (ბერძ. Πεντακοσιομεδίμνος) — ძველ ათენში სოლონის რეფორმების შედეგად თავისუფალი მოსახლეობის ქონებრივი ნიშნით განსაზღვრული უმეღლესი თანრიგი.

პერეგრინი (ლათ. Per - თვის, Agere - მიწა) — ძველ რომში უცხოელი, დაპყრობილი ან დამორჩილებული უხცო ქვეყნის წარმომადგენელი.

პერიეკები (ბერძ. Περιοικές) — სპარტაში არასრულუფლებიანი თავისუფალი მოსახლეობა, რომელიც ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდა.

პლებეები (ლათ. Plebs) — ძველ რომში საგვარეულო თემის მიღმა დარჩენილი მოსახლეობა ან გაღარიბებული და საკუთარ თემს ჩამოშორებული წევრები.

პოლეტები (ბერძ. Πολίτες) — ძველ ათენში ათი წევრისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც სახელმწიფო ხარჯებს აკონტროლებდა.

პოპულარები (ლათ. Populares) — ძველ რომში თავისუფალი მოქალაქეების ოპოზიციური პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც სენატური ოლიგარქიისა და ოპტიმატების წინააღმდეგ იბრძოდა.

პრესკრიპცია (ლათ. Praescriptio) — ძველ რომში პრეტორის პროცესუალური ფორმულის ის ნაწილი, რომელიც, ინტენციის წინ იწერებოდა და ეს იყო უარყოფითი პირობა, რომელიც მოსარჩლის სასასარგებლოდ ზღუდავდა დავის საგანს.

პრეტორი (ლათ. Praetor) — ძველ რომში ბოლო რექსის გაძევების შემდეგ დამკვიდრებული თანამდებობდბა. პრეტორების საქმიანობის უმთავრესი სფერო სამოქალაქო სამართალით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა იყო. იმპერიის პერიოდში პრეტორთა პოზიციები შესუსტდა. მათ მოვალეობათა ძირითადი ნაწილი გადაეცა ქალაქთა პრეფექტებს. არსებობდა ქალაქისა (praetor urbanus) და უცხოელების (praetor peregrinus) პრეტორი.

პრეფექტი (ლათ. Praefectus) — უმაღლესი თანამდებობის პირთა წოდება არმისა თუ სამოქალაქო სამსახურში. პრეფექტის წოდე-

ბას იღებდნენ მხოლოდ სენატორები ან მხედართა ფენის წარმომადგენლები.

პრინციპატი (ლათ. Principatus) — ძველ რომში იმპერიის პირველი პერიოდი (ქრ.შობამდე I — ქრ.შობის III საუკუნეები), ოქტავიანე ავგუსტუსის დროს ჩამოყალიბებული მმართველობის ერთგვარი ფორმა, პირადი მმართველობის განსაკუთრებული რეჟიმი.

პრინცეპსი (ლათ. Princeps) — არაოფიციალური, თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი წოდება, რომელიც „პირველ სახელმწიფო მოღვაწეს“ გულისხმობდა. რესპუბლიკის პერიოდის რომში პრინცეპსი ეწოდებოდა სენატის ნუსხის სათავეში მდგომ პირს, რომელიც „პირველი ხმის უფლებით“ სარგებლობდა; მაგალითად, პომპეუსი, ციცერონი. იმპერიის ეპოქაში „პრინცეპსი“ იმპერატორის წოდება გახდა, თუმცა, სახელმწიფოებრივი ან სამართლებრივი დატვირთვა მას არ ჰქონდა. პირველ ხანებში ეს წოდება პრესტიჟული იყო. კალიგულას მმართველობიდან (ქრ.შობის 37-41 წ.) მოყოლებული კი, მან საბოლოოდ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

პრიტანია (ბერძ. Πριτανία) — ძველ ათენში ბულეს სამორიგეო კოლეგია, რომლის ძირი-

თადი მიზანი სახელმწიფოს ყოველდღიური საქმიანობის უშუალო გაძღოლა იყო.

პროვოკაცია (ლათ. Provocatio) — ძველ რომში განსასჯელის უფლება სასიკვდილო განაჩენის გასაჩივრებისათვის კომიციის ან პლებსის ტრიბუნისათვის მიერმართა.

პროკულიანელები (ლათ. Procul(e)iani) – ძველ რომში სამართლებრივი სკოლა, რომელიც ფაქტობრივად ლაბეონმა დააარსა. მისი მიმდევრები რესპუბლიკის პერიოდის რომაელი იურისტების ტრადიციებს განაგრძობდნენ და კაზუისტიკისი სფეროში წარმატებით მოღვაწეობდნენ. (იხ. საბინიანელები)

პროლეტარები (ლათ. Proles) — ძველ რომში ქალაქის ღარიბი მოსახელობა, უქონელი მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოსათვის სასარგებლონი იყვნენ იმით, რომ ქვეყნის გენოფონდს ზრდიდნენ და აღწერილნი იყვნენ როგორც „შეფასებული თავები“ (ლათინური: capite censi).

რ

რექსი (ლათ. Rex) — უძველეს რომში ტომის არჩევითი ბელადი; მეფე.

რესკრიპტი (ლათ. Rescriptum) რომში იმპერატორის ერთ-ერთი კონსტიტუციათაგანი, რითაც იმპერატორი პასუხობდა ცალკეულ პირს ან მაგისტრატს, რომელიც სამართლებრივ საკითხებზე რჩევისათვის მიმართავდა იმპერატორს.

ს

საბინიანელები (ლათ. Sabiniani) — ძველ რომში სამართლებრივი სკოლა, რომელიც საბინიანუსის მოსწავლემ კასიუსი ლონგინუსმა ჩამოაყალიბა. ამ სკოლის წარმომადგენლები სამართლის სისტემატიზაციასა და იურიდიული ტექნიკის საფუძვლებს შეიმუშავებდნენ.

სენატი (ლათ. Senatus) — რომში უხუცესთა საბჭო არსებობდა ჯერ კიდევ რექსების პერიოდში. სენატის წევრები იყოფოდნენ რანგებად, იმის მიხედვით, თუ რა თანამდებობებს ფლობდნენ ადრე (კონსულები, პრეტორები, ედილები, ტრიბუნები, კვესტორები). დისკუსიის დროს სენატორებს სიტყვის თქმის უფლება ამ რანგების მიხედვით ენიჭებოდათ. სენატის სათავეში იდგა ყველაზე ღირსეული სენატორთაგან, მას პრინცეპსი ეწოდებოდა (princeps senatus). სენატის ფუნქციებში შედიოდა კანონების მიღება, არჩევ-

ნების შედეგების დამტკიცება; მაგისტრატების საქმიანობაზე ზედამხედველობა და მათთვის რჩევების მიცემა; საშინაო პოლიტიკის წარმართვა; ფინანსებთან დაკავშირებულ პრობლემების გადაწყვეტა. მის დადგენილებებს, ისევე როგორც სახალხო კრებისა თუ პლებსის კრების განკარგულებებს, კანონის ძალა ენიჭებოდა.

სენატუსკონსულტუმი (ლათ. SenatusConsultum) — ძველ რომში სენატის დადგენილება, რომელიც პრინციპატის პერიოდიდან რომის სამართლის წყარო გახდა.

სერვიტუტი (ლათ. Servitutes) — რომის სამართალში სხვის ნივთზე სანივთო უფლება, რითაც შესაძლებელი ხდება ნივთის სრული ან ნაწილობრივი ფლობა, რაც უშუალოდაა მიწასთან ან კონკრეტულ პირთანაა დაკავშირებული.

სიკოფანტესი (ბერძ. συκοφάντής) — პროფესიონალი დამსმენი, ცილისმწამებელი. ქრ. შობამდე V საუკუნიდან ძველ ათენში უპასუხისმგებლო ცილისმწამებელს სასტიკად სჯიდნენ.

სიმაქია (ბერძ. Συμαχία) — ელადაში დელოსის საზღვაო კავშირი, რომელიც აერთია-

ნებდა ათენის ეგიდით შექმნილ სხვადასხვა პოლისს.

სინოიკიზმი (ბერძ. Συνοικίσμος) — ელადაში ატიკის საგვარეულო თემების ნებაყოფლობითი ან იძულებითი გაერთიანება პოლიტიკურ ერთობად.

სისახთია (ბერძ. Συσαχθία) — ძველ ათენში სოლონის რეფორმა, რომლითაც გაუქმდა სავალო მონობა.

სისიტიები (ბერძ. Συσίτιες) — სპარტაში სპარტანელების სავალდებულო ერთობლივი სადილი, რომელიც იმავდროულად საომარ ქვედანაყოფს წარმოადგენდა.

სოლიდი (ლათ. Solidus) — 312 წელს კონსტანტინეს მიერ აურეუს-ის მაგივრად შემოღებული ოქროს მონეტა. ერთი სოლიდის წონა 1/72 რომაულ ფუნტს (libra) უდრიდა. მონეტის მოჭრის ექსკლუზიური უფლება აღმოსავლეთ-რომის იმპერატორებს ჰქონდათ. როგორც ფულის ერთეული სოლიდი ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე არსებობდა და მთელ ევროპაში იყო მიმოქცევაში. ამაზე მეტყველებს მოგვიანებითი პერიოდის ტერმინები soldo (იტალიური), sou (ფრანგული).

სტიპულაცია (ლათ. Stipulatio) — რომის სამართალში აბსტრაქტული ვერბალური ხელშეკრულების უძველესი სახე, რომელიც განსაზღვრული სიტყვიერი ფორმულით იდებოდა.

სტრატეგოსი (ბერძ. στρατήγός) — ძველ ათენში მხედართმთავარი. ქრ.შობამდე 508/507 წელს ძველ ათენში შეიქმნა ათი სტრატეგოსისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევდნენ და რომლებიც არმიასა და ფლოტს მეთაურობდნენ. განსაკუთრებულ ვითარებაში სტრატეგოსი-ავტოკრატორი მხადართმთავარი ხდებოდა და სახელმწიფოში მთელ ძალაუფლებას იძენდა.

ტ

ტეტრარქია (ბერძ. Τετραρχία) — რომის იმპერიაში მმართველობის განსაკუთრებული სისტემა, რაც სახელმწიფო ტერიტორიის ოთხად დაყოფას ეფუძნება. ეს სისტემა ჩამოყალიბდა იმპერატორ დიოკლეტიანესა და მისი თანამმართველის კეისრის პერიოდში.

ტრიბა (ლათ. Tribus) — 1. უძველეს რომში ათი კურიისაგან შემდგარი გაერთიანება,

ტომი; 2. სერვიუს ტულიუსის რეფორმის შედეგად ტერიტორიული ოლქი.

ტრიბუნი (ლათ. Tribunus) — ძველ რომში უმნიშვნელოვანესი არჩევითი თანამდებობა. პლებსის ინტერესების დამცველ ტრიბუნს ეწოდებოდა სახალხო ტრიბუნი ტრიბუნები თავის ამომრჩეველთა ინტერესების თავგამოდებული დამცველიები იყვნენ. სარგებლობდნენ რა განსაკუთრებული უფლებებით, ისინი აკონტროლებდნენ რომაელ პოლიტიკოსთა საქმიანობას; მათ შეეძლოთ ნებისმიერი ინსტიტუტის ან პირის (დიქტატორის გარდა) წინ აღდგომა. ქრ.შობამდე საუკუნიდან ტრიბუნის თანამდებობა ყველაზე ავტორიტეტული და საპატიო გახდა. . ტრიბუნის თანამდებობა არსებობდა ლეგიონებშიც სამხედრო ტრიბუნის სახელწოდებით.

ტრიერარქია (ბერძ. Τριεραρχία) — ელადაში ლიტურგიის განსაკუთრებული სახე, რაც შეძლებულ ათენელებს საკუთარი ხარჯებით სამხედრო გემის აღჭურვას ავალდებულებდა.

ტრიტიები (ბერძ. Τριτίες) — ელადაში განსაკუთრებული რეგიონები (საქალაქო, სანაპირო, სამიწათმოქმედო), რომლებიც შედიოდნენ კლისთენეს რეფორმებით დაწესებულ ათ ტერიტორიულ ფილაში.

ტრიუმფი (ლათ. Triumphus) — გამარჯვების ნიშნად მთავარსარდლის პატივსაცემად გამართული ზეიმი.

უ

უზუფრუქტი (ლათ. Usus - სარგებლობა, fructus - ნაყოფი) — სხვისი ნივთის ნაყოფით სარგებლობის უფლება.

ფ

ფასკია (ლათ. Fascia) — ტყავის თასმებით შეკრული წნელთა კონა, რომელშიც ცული იყო ჩამაგრებული. ფასკიებს რომის მაღალი წოდების ის მაგისტრატები ატარებდნენ, რომლებიც სადამსჯელო ხელისუფლებას ახორციელებდნენ.

ფედერატები (ლათ. Foederatus) — იმპერიის პერიოდის რომში გერმანული ტომების წარმომადგენლები, რომლებმაც რომთან სამოკავშირეო და საზღვრების დაცვის შეთანხმება გააფორმეს.

ფიდეიკომისი (ლათ. Fideicommissum) – რომის სამართალში ანდერძის შედგენის გარეშე არაფორმალური დანაკისრი მესამე პი-

რის სასარგებლოდ სამკიდრო ქონების გადაცემის შესახებ.

ფიდუციი (ლათ. Fiducia) — რომის სამართალში ნდობაზე დაფუძნებული დაგირავების ფორმა, რომლის დროსაც დაგირავებული ნივთი კრედიტორის საკუთრებად ითვლებოდა.

ფილე (ბერძ. φυλή) — 1. ჰომეროსის პერიოდის ელადაში ატიკის ტომი; 2. ძველ ათენში კლისთენეს რეფორმებით შექმნილი ტერიტორიულ-პოლიტიკური ოლქი.

ფისკი (ლათ. Fiscus) — ძველ რომში იმპერატორის ხაზინა.

ფორმულა (ლათ. Formula) — 1. ძველ როში მოსამართლისადმი განკუთვნილი პრეტორის მოკლე განაწესი იმის შესახებ, ფაქტიური თუ იურიდული გარემოებების გათვალისწინებით როგორ უნდა გაამართლოს ან გაასამართლოს მოპასუხე; 2. ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში რომელიმე გარეგების გამაფორმებელი სიგელი, საბუთის ნიმუში.

ფსეთიზმა (ბერძ. Ψεθίσμα) — ძველ ათენში ცალკეული პირებისათვის ეკლესიის დადგენილება.

ც

ცენზორი (ლათ. Censor) — მნიშვნელოვანი მაგისტრატი რესპუბლიკური პერიოდის რომში. ცენზორებს ყოფილ კონსულთაგან ირჩევდნენ 5 წელიწადში ერთხელ; მათი უფლებამოსილების ვადა 18 თვით განისაზღვრებოდა. ცენზორთა უმთავრეს მოვალეობად მოსახლეობის (როგორც თავისუფალი, ისე მონების) აღრიცხვა, მხედართა და სენატორთა ნუსხების რევიზია ითვლებოდა. ცენზორს უფლება ჰქონდა ამოეწერა ან ჩაეწერა ამ ნუსხაში პირები. აქედან გამომდინარე, ცენზორები საკუთარ თავზე იღებდნენ მოქალაქეთა ზნის ზედამხედველობის ფუნქციასაც. გარდა ამისა, ცენზორთა საქმიანობა დაკავშირებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილებასთანაც, ქალაქის ნაგებობათა დაცვასთან და ა.შ.

ცენტურია (ლათ. Centuria) — ძველ რომში 1. ასეული, როგორც რომაული ჯარის ერთეული; 2. რომაელ მოქალაქეთა ქონებრივი ცენზის მიხედვით გაერთიანება კომიციებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

ცესია (ლათ. Cessio) — რომაულ სამართალში სასამართლო წესით უფლების დათმობა, კვიტირული უფლების გადაცემის ფორმალური საშუალება პრეტორის თანდასწრებით ფორმალური სასამართლო დავის მეშვეობით.

ცივიტასი (ლათ. Civitas) — ძველ რომში თემი-სახელმწიფო, უძველესი ლათინების, საბინიანელებისა და ეტრუსკების ტომების გაერთიანების შედეგი.

ჰ

ჰელიეია (ბერძ. Ελιεία) — ძველ ათენში სასამრთლო ორგანო, რომელიც სოლონის პერიოდში სისხლის სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განსახილველად და კანონმდებლობის სფეროს მაკონტროლებლად შეიქმნა. ჰელიეიას წევრს ჰელიეასტი ეწოდებოდა.

ჰილოთეები, ილოთეები (ბერძ. Υλόθες) – ელადაში მესენიის ავტოქტონური (ძირძველი) მოსახლეობა, რომელიც სპარტის მიერ დაპყრობის შემდეგ სახელმწიფო მონები გავხდნენ. ისინი მიწის ნაკვეთებზე მიმაგრებული მონები იყვნენ და მათი მოვალეობა იყო სპარტანელებისათვის ამ მიწიდან აღებული შემოსავლის ნახევარი მიეცათ. ზოგჯერ მათ სამ-

ხედრო სამსახურაც ავალებდნენ მსუბუქი ქვეითების სახით. სრულიად უუფლებო ჰილოთები სპარტანელების მხრიდან მკაცრ მოპყრობასა და უსამართლობას აწყდებოდნენ. შესაბამისად, ჰილოთები არაერთ აჯანყებას აწყობდნენ.

ჰიპომეიონი (ბერძ. Υπομείον) — „ფსკერზე დაშვებულიძძ ის სპარტიატები, რომლებსაც არ ერგოთ კლეროსი, ვერ მოიპოვეს ბეითალმანი ქონება და აეკრძალათ სისიტიებში მონაწილეობა.

ჰოპლიტი (ბერძ. Ωπλίτος) — ელადაში მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი.

ადრე და შუა საუკუნეების პერიოდის დასავლეთ ევროპა

ა

აბსოლუტიზმი (ფრანგ. Absolutisme) — ფეოდალური წყობილების სახელმწიფოში მმართველობის ფორმა, როდესაც შეუზღუდავი უმაღლესი ხელისუფლება მონარქს ეკუთვნის.

ალოდი (გერმ. Al - სრული, Od - მფლობელობა) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში თავისუფლად გასხვისებადი მიწათმფლობელობა, ინდივიდუალური საოჯახო საკუთრება.

ანტრუსტიონი — ფრანკების სამეფოში მმართველის მოსამსახურე (მსახური), რომელიც კანონის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა.

არიერ-ვასალი (ფრანგ. Arriere Vassal დაქვემდებარებული ფეოდალი) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ვიცე-ვასალი (ვალვასორი), წვრილი ან საშუალო ფეოდალი, რომელიც მსხვილ ფეოდალებზე, გვირგვინის ან პერების ვასალებზე იყო დამოკიდებული.

ასიზა (გვიანი ლათ. Assisa სხდომა) — 1.შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ფეოდალთა სხდომა; 2. შუა საუკუნეების ინგლისში მეფის განკარგულება ან სასამართლო სარჩელის სახე, ან გამსვლელი სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

ათატომია — ფრანკების სამეფოში ქონების გადაცემის სიმბოლური საჯარო აქტი, მესამე პირის სასარგებლოდ ჩუქების ხელშეკრულების ერთგვარი სახე, რომელიც ანდერძის ელემენტებს შეიცავს.

ბ

ბაზილიკა (ბერძ. Βασιλικά) — ბიზანტიაში ბერძნულ ენაზე დაწერილი საკანონმდებლო აქტების კრებული, რომელიც X საუკუნეში დასრულდა, კრებულის 60 წიგნი იმდროისათვის ჯერ კიდევ მოქმედი იუსტინიანეს სამართალს კომპილაციას შეიცავს.

ბაილი (ფრანგ. Bailli) — შუა საუკუნეების საფრანგეთში დაშნის ან მანტიის მოხელე, რომელიც სამართალს მეფის ან სენიორის სახელით ახორციელებდა.

ბანი (ფრანგ. Ban) — 1. შუა საუკუნეების ევროპაში ვასალების სამხედრო სამსახურში

გაწვევა; 2. ფრანკების სამეფოში ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული მეფის უფლებამოსილება გამოსცეს საკანონმდებლო აქტები; 3. შუა საუკუნეების გერმანიაში მეფის განაჩენით გასამართლების უფლება.

ბანალიტეტი (ფრანგ. Banalite — სენიორისთვის განკუთვნილი) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე (წისქვილი, ღუმელი, ვენახი და სხვა) სენიორის მონოპოლიური უფლება.

ბეილიფი (ინგლ. Bailiff) — შუა საუკუნეების ინგლისში სასამართლო მოხელე, ასეულის უფროსი და შერიფის თანაშემწე.

ბენეფიციუმი (ლათ. Beneficium - წყალობა) — შუა საუკუნეების ევროპაში მიწის სამისდღეშიო პირობითი მფლობელობა, სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურისათვის ვასალის ანაზღაურება.

ბუკლენდი (ინგ. Bookland) — შუა საუკუნეების ინგლისში მიწის მფლობელობა, რომელიც მეფის მიერ საეკლესიო დაწესებულების ან არისტოკრატიის წარმომადგენლს წყალობის სახით გადაეცემა.

ბრევე (ლათ. Breve მოკლე) — რომის პაპის ნორმატიული აქტის ერთ-ერთი სახე.

ბულა (ლათ. Bulla — ლითონის ბურთი) — რომის პაპის ან გერმანიის იმპერატორის ნორმატიული აქტი (სიგელი, დადგენილება ან განკარგულება), რომელიც მრგვალი ლითონისებრი ბეჭდით ილუქებოდა.

ბურჟუა (ფრანგ. Bourgeois) — 1. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში საქალაქო ფენის წარმომადგენელი; 2. შუა საუკუნეების საფრანგეთში ასევე მსხვილი მეწარმე ან ფინანსისტი.

გ

გერეფა — ნორმანდიულ ინგლისამდე მეფის წარმომადგენელი ფართო სასამართლო-პოლიციური უფლებებით, ქალაქის ან ოლქის მმართველი.

გლაფორდი (ინგ. Glaford) — ანგლოსაქსებში ერლების ან ტემების რიცხვიდან მფარველი, რომელიც საგადასახადო იმუნიტეტის სიგელით და მთელ საიმუნიტეტო ტერიტორიაზე საპოლიციო და სასამართლო ხელისუფლებით იყო აღჭურვილი.

გლოსატორები (ბერძ. Γλωσσατόρος უცხო, გაუგებარი სიტყვების განმარტება) — შუა საუკუნეების იტალიელი იურისტები, რომლებიც რომის სამართლის ნაშრომებში ცალკეულ დებულებებსა თუ ტერმინებს განმარტავდნენ და თავიანთ მოკლე კომენტარებს ანუ გლოსებს სტრიქონებს შორის ან ტექსტის ველზე წერდნენ.

ე

ეპიტიმია (ბერძ. Επιτιμία სასჯელი) — ეკლესიის კანონებისა და მღვდლების მითითებების დარღვევისათვის გათვალისწინებული საეკლესიო სასჯელი, რომელიც ხანგრძლივ ლოცვებს, მკაცრ მარხვებსა და უზიარებლობას გულისხმობდა.

ერესი (ბერძ. Αιρέσις) — მძიმე დანაშაული, რომელიც დოგმატიკის, კულტურისა და საეკლესიო ორგანიზაციის საკითხებში ეკლესიის ოფიციალური დოქტრინიდან გადახვევას გულისხმობს.

ერლი (ინგ. Earl) — ნორმადნიული პერიოდამდელ ინგლისში გვაროვნული არისტოკრატია, მოგვიანებით — გრაფი.

ვ

„ვარსკვლავთა პალატა“ (ინგ. Court of Star Chamber) — შუა საუკუნეების ინგლისში საგანგებო/განსაკუთრებული სასამართლო, რომელიც პოლიტიკური დანაშაულის საქმეებს განიხილავდა.

ვასალი (ფრანგ. Vassal — დაქვემდებარებული, მსახური) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში მიწათმფლობელი, რომელიც თავის სენიორს ექვემდებარებნოდა და ვასალური გარიგების საფუძველზე, ვალდებული იყო მის სასარგებლოდ გარკვეული სამსახური გაეწია.

ვერგელდი (გერმ. Wergeld - ადამიანის ფასი) — ადრე შუა საუკუნეების სამართალში თავისუფალი ადანიანის მოკვლისათვის გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია.

ვიკარიუსი (ლათ. Vicarius ჩამნაცვლებელი, შემცვლელი) — საეპისკოპოსოში, მონასტერში სასულიერო პირის მოადგილე; კათოლიკური ეკლესია რომის პაპს „იესო ქრისტეს ვიკარიუსს“ უწოდებს.

ვილანი (ლათ. Villa — მამული, ნაკვეთი) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში გლეხ-

ობის კატეგორია, რომელიც ბატონზე გარკვეულწილად იყო დამოკიდებული.

ვოტჩინა (რუს. Вотчина) — მამული, უპირობო მიწათმფლობელობის ფორმა რუსეთში.

ზ

ზაკუპი (რუს. Закуп) — კიევის რუსეთში მოსახლეობის კატეგორია, რომელიც კრედიტორის სასარგებლოდ მუშაობდა აღებული ვალის დასაფარავად.

ი

იმედიატიზაცია (ფრანგ.) — შუა საუკუნეების ევროპაში არიერ-ვასალების უშუალოდ მეფისადმი დაქვემდებარებაში გადასვლის პროცესი.

ინკვიზიცია (ლათ. Inquisitio - გამოძიება, გამოკვლევა) — შუა საუკუნეების ევროპაში კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალი, რომელიც საგამოძიებო, სასამართლო და სადამსჯელო ფუნქციებს ახორციელება. როგორც კი ქრისტიანობა ოფიციალურად რელიგიად დაკანონდა, ყველა სხვა რელიგიური მიმდინარეობისა თუ იდეოლოგიის დევნა დაიწყო. ინკვიზიციის მთავარი მიზანი იყო

კათოლიკური ეკლესიისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა და საერო ხელისუფლებისათვის შემოსავლების მოზიდვა. აღნიშნული ტრიბუნალი ერესებს ებრძოდა (იხ. ერესი).

ინი (ინგ. Inn of Court) — შუა საუკუნეების ინგლისში დახურული იურიდიული კორპორაცია, სადაც მომავალ მოსამართლეებსა და სამართალდამცველებს ამზადებდნენ.

ინტენდანტი (ფრანგ. Intendant) — შუა საუკუნეების საფრანგეთში მეფის მიერ დანიშნული პროვინციის მმართველი, რომელსაც ადმინისტრაციული, საფინანსო და სასამართლო ხელისუფლება გააჩნდა.

იუსტიციარი — შუა საუკუნეების ინგლისში ინგლის-ნორმანდიელთა მეფეებისა და პლანტაგენტების დინასტიის პირველი მეფეების დრო უმაღლესი მოსამართლე და მრჩეველი.

კ

კამერარიუსი (ლათ. Camerarius) 1. ფრანკების სამეფოში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა; 2. ადრეფეოდალურ გერმანიასა და ნორმანდიულ ინგლისში ხაზინის შემოსავ-

ლებსა და სასახლის ქონებაზე ზედამხედველი პირი.

კანონი (ბერძ. Κανών ნორმა, წესი) — 1.კანონიკური ნორმების ერთობლიობა; 2.ბიზანტიაში მიწის გადასახადი.

კაპიტულარი (ლათ. Capitulum - თავი, კანონის მუხლი) — ადრეული შუა საუკუნეების ევროპაში მეფის აქტი.

კერლი (ინგ.) — ანგლო-საქსების სამეფოში თავისუფალი მეთემე გლეხი.

კომენდაცია (ლათ. Commendere - რწმუნება, გადაცემა) — შუა საუკუნეების ევროპაში მფარველობის განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომელიც ეკლესია-მონასტერსა და გლეხს შორის ფორმდებოდა.

კომპოზიცია — დაზარალებულისათვის ზიანის ფულადი ანაზღაურება.

კონეტაბლი (ფრანგ. connétable) — 1. შუა საუკუნეების საფრანგეთში მთელი შეიარაღებული ძალების მეთაური; 2. შუა საუკუნეების ინგლისში სამხედრო იურისდიქციის მქონე თანამდებობის პირი.

კოპიჰოლდი (ინგ. copyhold) — შუა საუკუნეების ინგლისში დამოუკიდებელი მიწათმფლობელობა, როდესაც პირადი და მიწის გადასახადის გადახდა მანორის სასამართლო გადაწყვეტილებების ასლების საფუძველზე ხდება.

კურფიურსტი – შუა საუკუნეების გერმანიაში ერთ-ერთი (სამ სასულიერო და ოთხ საერო) ყველაზე გავლენიან და მსხვილ ფეოდალთაგანი, რომელიც იმპერატორს ირჩევდა.

კუტიუმი (ფრანგ. coutume) — შუა საუკუნეების საფრანგეთში ცალკეული პროვინციის, სენიორიის, თემის სამართლებრივი ჩვეულება.

ლ

ლანდზასი (გერმ.) — შუა საუკუნეებში გერმანიის მოსახლეობა, რომელიც იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებზე ცხოვრობდა.

ლანდრეხტი (გერმ. landrecht) — შუა საუკუნეების გერმანიაში 1.ადგილობრივი სამართალი (ცალკეული მიწის სამართალი), რომელიც „საგრაფო იურისდიქციის“ სასამრთლოებში გამოიყენებოდა; 2.„საქსონიის საკრის“ ერთ-ერთი ნაწილი.

ლენდლორდი (ინგ. Landlord) შუა საუკუნეების ინგლისში მემკვიდრეობითი მსხვილი მიწათმფლობელი-არისტოკრატი.

ლენრეხტი (გერმ. Lehrnrecht) — შუა საუკუნეების გერმანიაში სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით სენიორსა და ვასალს შორის ურთიერთობას არგულირებდა.

ლეტი — ანგლო-საქსების სამეფოში თემის შეზღუდულქმედუნარიანი, ნახევრადთავისუფალი მოსახლე.

ლიტი — 1. ფრანკების სამეფოში თემის შეზღუდულქმედუნარიანი ნახევრადთავისუფალი მოსახლე; 2. შუა საუკუნეების გერმანიაში გლეხების კატეგორია.

მ

მაიორატი (ლათ. maior — დიდი, უფროსი) — მემკვიდრეობის განსაკუთრებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მამკვიდრებლის უძრავი ქონება უფროს ვაჟიშვილს ან გვარის უფროს მამაკაცს გადაეცემოდა.

მაიორდომი (ფრანგ. majerdeum) — ფრანკების სამეფოში სამეფო ადმინისტრაციის უფროსი.

მალუსი (ლათ. malus) — ფრანკების სამეფოში ასეულის თავისუფალი ადამიანების შეკრება.

მინისტერიალი _ 1. ფრანკების სამეფოში უმაღლესი თანამდებობის პირი; 2. შუა საუკუნეების გერმანიაში მეფისა და სამხედრო-ადმინისტრაციული ვალდებულებების მქონე მსხვილი ფეოდალის არათავისუფალი მსახური.

ო

ომაჟი (ლათ. Homo — ადამიანი, ფრანგ. Homage) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ვასალური ხელშეკრულების დადებისა და რაინდად კურთხევის წესი, რომელსაც თან ერთგულების დაპირებაც ახლდა.

პ

პრევო (ფრანგ. Prévôt) — შუა საუკუნეების საფრანგეთში სასამართლო, საგადასახადო და სხვა ფუნქციებით აღჭურვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქის მმართველი.

პრეკარიუმი (ლათ. Praecarium - თხოვნით გადაცემული) — შუა საუკუნეების ევროპაში გლეხსა და ბატონს შორის დადებული ხელ-

შეკრულება, რომელიც ბატონის მიერ გლეხ-ისათვის, მფარველობაში შესვლისა და მის სასარგებლოდ გადასახადებისა და სხვადასხვა მოვალეობის შესრულების პირობით, მიწის ნაკვეთის გადაცემას გულისხმობდა

პერი (ფრანგ. Paire) — 1.შუა საუკუნეების ევროპაში მსხვილი ფეოდალები, რომლებიც ფორმალურად მეფის ვასალები იყვნენ, თუმცა ფაქტიურად მეფის თანასწორად მიიჩნევდნენ თავს; 2. შუა საუკუნეების ინგლისის პარლამენტში ლორდთა პალატის წევრები.

პოსლუხი (რუს. Послух) — რუსეთში მოწმის სახე, რომელმაც დანაშაულის შესახებ გადმოცემით იცის, მონაცემები გზით მოიპოვა.

პროდაჟა (რუს. Продажа) — სისხლის სამართლის სასჯელი (ჯარიმა), რომელიც ოდენობა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დგინდებოდა. პრიდაჟას დაზარალებულს ან მის ოჯახს უხდიდნენ.

ჟ

ჟაკერია (ფრანგ. Jacquerie) — 1358 წელს საფრანგეთის ჩრდილოეთით გლეხების ანტიფეოდალური აჯანყება. აღნიშნული სახელ-

წოდება მიიღო საფრანგეთში გლეხებს შორის ფართოდ გავრცელებული სახელის - Jacques ჟაკ - მიხედვით. აჯანყებულების ფეოდალური დაქვემდებარებულობისა და საგლეხო დამოკიდებულების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ჟენერალიტეტი (ფრანგ. Généralité) — შუა საუკუნეების საფრანგეთში საგადასახადო მიზნით ცალკე გამოყოფილი საგანგებო ოლქები.

რ

რაინდი — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში სამხედრო-ფეოდალურ წოდებას მიკუთვნებული პირი.

რახინგურგი — ფრანკების სამეფოში სამართლისა და ადგილობრივი ჩვეულებების მცოდნეები, ასეულების სასამართლოების პროცესების მონაწილეების.

რეიპუსი — ფრანკების სამეფოში ქვრივის გამოსასყიდი, რომელსაც მომავალი მეუღლე საცოლის გარდაცვლილი ქმრის ნათესავებს უხდიდა.

რემონსტრაცია — შუა საუკუნეების საფრანგეთში პარიზის პარლამენტის პრეროგა-

ტივა უარი თქვას მეფის ორდონანსების რეგისტრაციაზე.

ს

სენეშალი — 1. კაროლინგების დინასტიის ფრანკების სამეფოში მეფის ადმინისტრაციის უფროსი; 2. შუასაუკუნეების საფრანგეთში გვირგვინის წარმომადგენელი ბალის უფლებებით სენიორს მიერთებული დომენის და სასაზღვრო ტერიტორიებზე.

სერვი (ლათ. Servus — მიწაზე მიმაგრებული მონა) — შუა საუკუნეების ევროპაში პირადად დამოუკიდებელი გლეხი, რომელიც ბატონის სასარგებლოდ ნატურითა და ფულით იხდიდა გადასახადს.

სკაბინი — ფრანკების სამეფოში ასეულთა სასამართლოს წევრი.

ტ

ტრიაჟი (ფრანგ. Triage) — აბსოლუტიზმის პერიოდის საფრანგეთში თავადების მიერ საგლეხო თემის კუთვნილი მიწის ერთი მესამედის გამოღების უფლება, ხაზინაში სათანადო თანხის გადახდის სანაცვლოდ.

ტუნგინი — ფრანკების სამეფოში ასეულთა სასამართლოს წარმომადგენელი.

უ

უიტენაგემოტი (ინგ. Witenagemot) — ნორმანდიულ ინგლისამდე მეფესთან არსებული „ბრძენთა“ საბჭო.

ფ

ფარის ფული — შუა საუკუნეების ინგლისში ფულადი კონპენსაცია, რომელსაც ვასალები სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების სანაცვლოდ მეფის სასარგებლოდ იხდიდნენ.

ფეოდი (ლათ. Feodum) — შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, რომელიც სენიორისაგან ვასალს გარკვეული (სამხედრო, ადმინისტრაციული) სამსახურის სანაცვლოდ ჰქონდა ნაწყალობები.

ფოლკლენდი (ინგ. Folkland) — შუა საუკუნეების ინგლისში თავისუფალი მეთემის მიწის მფლობელობა.

ფორმარიაჟი (ფრანგ. Formariage) — შუა საუკუნეების საფრანგეთში ბატონის მიერ ქორწინებაზე გაცემული საგანგებო ნებართვა.

ფრიჰოლდი (ინგ. freehold) — შუა საუკუნეების ინგლისში, პირადი ან რაინდული სამსახურის სანაცვლოდ, მიწების თავისუფალი მფლობელობა, ასევე თავისუფალი გლეხის მიწაზე მფლობელობა, რისთვისაც გლეხი ლორდს ფიქსირებულ თანხას უხდიდა.

შ

შევაჟი — შუა საუკუნეების პერიოდის საფრანგეთში სერვის მიერ გადახდილი სულადობრივი გადასახადი.

შერიფი — შუა საკუნეების პერიოდის ინგლისში თანამდებობის პირი, რომელსაც ადგილებზე სასამართლო, საპოლიციო, სამხედრო და ფინანსური უფლებამოსილება გააჩნდა.

შეფენი — შუა საუკუნეების გერმანიაში „არაკეთილშობილი“ თავისუფალი მოსახლეობის წარმომადგენელი, რომელთა რიგებიდან სათემო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევდნენ.

შეფენიების სასამართლო — გერმანიასა და სკანდინავიაში სასამართლოს ფორმა, როდესაც პროფესიონალი მოსამართლე და მოსახლეობის წარმომადგენლები ერთიან კოლეგიას ქმნიდნენ.

ჩ

ჩინში გერმანიაში გლეხებზე დაკისრებული საიჯარო ფულადი გადასახადი.

ც

ცენზიტარიუსი — წოდებრივ-წარმომადგენლობითი პერიოდის საფრანგეთში პირადად თავისუფალი მასა, რომელიც საკუთარი სენიორის სასარგებლოდ იხდიდად ფულის რენტას (ცენზს), რომლის მოცულობაც მუდმივად იცვლებოდა.

ჯ

ჯენტრი (ფრანგ. Genterie) — შუა საუკუნეების ინგლისში „ახალი აზნაურობა“, მიწათმფლობელები, რომლებიც ახალ, კაპიტალისტურ მეურნეობასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ჰ

ჰოფტაგი — შუა საუკუნეების გერმანიაში იმპერატორთან არსებული სამეფო საბჭო, რომელიც მნიშველოვან სახელმწიფო საქმეებს განიხილავდა.

ჰერიოტი — 1. ნორმანდიულმდე ინგლისში ვასალის ქონების ნაწილი, როგორც წესი,

მისი შეიარაღება, რომელიც მემკვიდრეობის წესით სენიორზე გადადიოდა; 2. შუა საუკუ-ნეების პერიოდის ინგლისში მიწის გადასახ-ადიკოპიგოლდის მემკვიდრეობით მიღებისას.

თანამედროვე ეპოქა

ა

აბოლიციონიზმი (ინგ. Abolitionism გაუქმება, უარყოფა) — აშშ-ში მონობის გასაუქმებლად წარმოებული მოძრაობა, რომელიც ორგანიზაციულად XIX საუკუნის 20-იან წლებში გაფორმდა; აბოლიციონიზმი ასევე გვხვდება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების კოლონიებშიც.

ადმინისტრაციული იუსტიცია — 1. სახელმწიფო მმართველობის სფეროში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის საგანგებო ორგანოთა სისტემა; 2. ერთი მხრივ, მოქალაქეს ან ორგანიზაციასა და მეორე მხრივ, სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების გადაწყვეტის საგანგებო პროცესუალური წესი.

ავტორიტარიზმი (ლათ. Auctoritatis – ხელისუფლება, ძალაუფლება, ფრანგული autoriratisme) — 1. სახელმწიფო ხელისუფლების ანტიდემოკრატიული სისტემა, რომელიც, როგორც წესი, პიროვნულ ან კლასობრივ დიქტატურას ემყარება; 2. პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ხასიათდება ერთი უწყების

ან ერთი პირის ხელში მოქცეული ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლებით, რასაც უაპელაციო მმართველობის მეთოდი და უპირობო დაქვემდებარებულობა ახასიათებს.

ანექსია (ლათ. Annexio — მიერთება) — სახელმწიფოსთან რომელიმე ტერიტორიის მიერთება, რასაც, ჩვეულებრივ, წინ უძღვის მიერთებული ტერიტორიის დაპყრობა ან ოკუპაცია.

„ასი დღე“ — საფრანგეთში ნაპოლეონ -ის მმართველობის პერიოდი (1815 წლის 20 მარტი — 22 ივნისი), რომელიც მისი კუნძულ ელბაზე გაქცევის შემდეგ დამყარდა და ვატერლოოზე (1815 წლის 18 ივნისს) ფრანგული არმიის დამარცხებითა და (1815 წლის 22 ივნისს) ნაპოლეონის გადადგომით დასრულდა.

აუდიენცია (ლათ. Audientia - მოსმენა) — ვიცე-მეფესთან ან გენერალ-კაპიტანთან შექმნილი საგანგებო სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ლათინური ამერიკის ქვეყნების კოლონიზაციურ მმართველობაში.

აქტი (ლათ. Acta) — სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული საბუთი, რომელიც საერთო-ნორმატიულ ან ინდივიდუალურად განსაზღვრულ მითითებებს შეიცავს.

ბ

ბილი (ინგ. Bill) — 1. სასამართლოში სასარჩელო საჩივარი; მოგვიანებით, პეტიცია, რომელიც პარლამენტში შედიოდა; 2. კანონ-პროექტი, ასევე ზოგიერთი საკონსტიტუციო აქტის სახელმწოდება (მაგალითად, ბილი უფლებათა შესახებ).

ბილი უფლებათა შესახებ — კონსტიტუციური დეკლარაცია, რომლითაც განისაზღვრა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და მათი დაცვა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან უზრუნველყოფილი იქნა (ინგლისი 1686 წ., აშშ 1791).

ბონაპარტიზმი — 1. ნაპოლეონ ბონაპარტეს დროს საფრანგეთში არსებული არამყარი სოციალური უთანასწორობის პერიოდის პოლიტიკური რეჟიმი; 2. ავტორიტარული მმართველობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც სამხედრო-პოლიციური ტერორითა და ბიუროკრატიზმით ხასიათდება, სამხედრო ძალას ემყარება და ბურჟუაზიასა და უბრალო ხალხს შორის ლავირებს.

დ

დიგერი (ინგ. Digger მთხრელი) — მემარცხენე პოლიტიკური ძალა, რომელიც კერძო საკუთრების გაუქმება და მიწების გლეხებისათვის გადაცემას მოითხოვდა.

დირექტორია (ლათ. Directorium - მიმართულება, მმართველობა) — საფრანგეთში აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც 1795 წლის 4 ნოემბერს შეიქმნა და 1799 წლის 10 ნოემბრამდე არსებობდა; ეს ორგანო ხუთი დირექტორიისაგან შედგებოდა, ხუთასთა საბჭოსა და უხუცესთა საბჭოს მიერ ირჩეოდა.

დომიცილი, დომიცილიუმი (ლათ. Domicilium - ადგილსამყოფელი, საცხოვრებელი) — 1. პირის საცხოვრებლის ან ორგანიზაციის ადგილსამყოფელის იურიდიული მნიშვნელობა; 2. თანამედროვე საოჯახო სამართალში ცოლის უფლება დამოუკიდებელს საცხოვრებელზე.

დოფინი (ფრანგ. Dauphin) — საფრანგეთში ტახტის მემკვიდრი წოდება.

ი

იაკობინელები (ფრანგ. Jacobins) — საფრანგეთში XVIII საუკუნის რადიკალური პოლიტიკურ-რევოლუციური მოძრაობის წევრები, რომლებიც მუშათა და გლეხთა ინტერესებს იცავდნენ. მათი შეკრებები იმართებოდა პარიზის წმ. იაკობის ტაძარში, რის გამოც მათ იაკობინელები ეწოდათ.

ინდეპენდენტები (ინგ. Independent — დამოუკიდებელი) — XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური მოძრაობის წევრები, რომელთაც კონსტიტუციური მონარქიის აღდგენასა და ადმინისტრაციული აპარატისაგან დამოუკიდებელი ადგილობრივი რელიგიური საზოგადეობების შექმნას ითხოვდნენ. (იხ. ლევერელები)

კ

კონგრესი (ლათ. Congessio — შეხვედრა, ურთიერთობა) — 1. მმართველი პირების შეხვედრა საერთო საქმის განსახილველად; 2. აშშ-ში საკანონმდებლო ორგანო; 3. საფრანგეთში დეპუტატების პალატისა და სენატის გაერთიანებული შეკრება.

ლ

ლევერელები (ლათ. Levis - გლუვი, სწორი, ინგ. levellers) – XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური მოძრაობის წევრები, რომლებიც ინდეპენდენტების შემადგენლობას გამოეყვნენ და სახალხო სუვერენიტეტს, საყოველთაო თანასწორობას, ერთპალატიანი პარლამეტის შემოღებასა და რესპუბლიკის გამოცხადებას ითხოვდა. (იხ. ინდენპენდენტები).

ო

ორმაგი ვოტუმი – ინგლისში ამომრჩევლის უფლება არჩევნებში ორჯერ მისცეს ხმა — საცხოვრებლისა და უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით; 1949 წელს აღნიშნული წესი გაუქმდა.

პ

პრობაცია — ინგლისში პირობითი გათავისუფლება, რომელიც როგორც სასჯელის ფორმა ისე გავრცელდა და განსასჯელის სოციალური ადაპტაციის ეფექტური საშუალება გახდა; პრობაცია სპაციალური სოციალური სამსახურის ზედამხედველების განსაკუთრებული მეთვალყურეობით ხორციელდებოდა.

პურიტანიზმი (ლათ. Purus - სუფთა) — ინგლისში რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო კათოლიციზმისაგან ანგლიკანური ეკლესიის „გაწმენდა“.

ჟ

ჟირონდისტები (ფრანგ. Girondists) – XVIII საუკუნის საფრანგეთში რევოლუციურ-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც სავაჭრო-სამეწარმეო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. (ამ დაჯგუფებამ სახელწოდება ჟირონდის დეპარტამენტის მიხედვით მიიღო).

რ

როიალისტი (ფრანგ. Royallist) — მონარქიის, სამეფო ხელისუფლების მომხრე.

ს

სამოქალაქო სია — კონსტიტუციური მონარქიის დროს პარლამენტის აქტი, რომელიც განსაზღვრავს მონარქისა და სამეფო კარის შენახვის ფულად ხარჯებს.

„სამოქალაქო სიკვდილი“ — სისხლის სამართლის ღონისძიება, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მთელ ქონებაზე კარგავდა

უფლებას, „თითქოს ბუნებრივი ფორმით გარდაცვლილიყო“.

უ

უნია (ლათ. Unio - გაერთიანება) — მონარქიული სახელმწიფოების ერთი სუვერენის ხელში გაერთიანება. განასხვავებენ ***პირად უნიას*** — როცა ორი ან მეტი სახელმწიფოს სათავეში ერთი სუვერენი იმყოფება და ***რეალურ უნიას*** — როცა რამდენიმე სახელმწიფო ხელშეკრულების საფუძველზე ერთიანდება.

შ

„შავი კოდექსები“ (ინგ. Black Codes) – 1865-1866 წლებში ამერიკის ჩრდილოეთის შტატებში მონობის გაუქმების სანაცვლოდ გამოცემული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც რასობრივ დისკრიმინაციას აკანონებდნენ.

ჰ

ჰაბეას კორპუს აქტი — ინგლისში 1679 წელს მიღებული კანონი ქვეშევრდომთა თავისუფლებების უკეთ უზრუნველყოფისა და ოკეანის მიღმა გადასახლების გაფრთხილების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა გაემარ-

ტივებინა სასამართლო ბრძანების მიღება დაკავებულის სასამართლოში წინასწარ მიყ-ვანის პროცედურა და მისი დაცვის ქვეშ ყოფნა.

ისლამური სამყარო

ა

აია (არაბ. آية) სასწაული, ნიშანი, ყურანის ლექსი.

ი

იმამი (არაბ. إمام) — 1. ცალკეულ ქვეყნებში მუსულმანთა სულიერი ლიდერი, რომელსაც ზოგჯერ საერო ხელისუფელბაც გააჩნია; 2. მეჩეთში რელიგიური რიტუალის ხელმძღვანელი; 3. სუნიზმის ოთხთაგან თითოეული რელიგიური-იურიდიული განმარტების ფუძემდებელი; 4. შიიტების ლიდერი.

იჯმა (არაბ. إجماع) — ისლამური სამართლის ერთ-ერთი წყარო, მუსლიმ სამართალმცოდნეთა ერთობლივი მოსაზრება რელიგიურ ან სამართლებრივ საკითხზე. მუსლიმ სწავლულთა ერთსულოვანი აზრი

კ

კანუნი (არაბ.) — ისლამური სამართლის ერთ-ერთი წყარო, საერო ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტი.

კიასი (არაბ. ალ-კი ას) — ისლამურ სამართალის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, ანალოგიით მსჯელობა.

მ

მალიძიტები — ერთ-ერთი სუნიტური სამართლებრივი სკოლის (მაზჰაბის) წარმომადგენლები.

ს

სუნა (არაბ: ას-სუნა გზა, მიმართლება; ადათი, ჩვეულება) — ისლამური სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო; გადმოცემები მუჰამედის შესახებ, რომელიც შეიცავს წინასწარმეტყველის გამონათქვამებს, მოქმედებებს და ა.შ.

სუნიზმი — ისლამის ორთოდოქსალური მიმდინარეობა.

ფ

ფათვა (არაბ. ფათვა, სპ. ფეთვა — განმარტება) — მუსლიმი სამართალმცოდნის (მუფთის) გადაწყვეტილება, დასკვნა ცალკეულ რელიგიურ ან სამართლებრივ საკითხზე.

ფიკჰი — (არაბ. ალ-ფიკჰ, სამართალმცოდნეობა) ისლამური სამართლებრივი დოქტრინა.

შ

შარიათი (არაბ: აშ-შარია — მართალი, ნათელი გზა) — ისლამის რელიგიური კანონი. ყურანსა და სუნაში გადმოცემული რელიგიურ-სამართლებრივი ნორმების პრინციპების ერთობლიობა.

შაფიიტები (არაბ. აშ-შაჰიძ ა) — ერთ-ერთი სუნიტური სამართლებრივი სკოლის წარმომადგენლები.

ყ

ყურანი (არაბ. ალ-კურძან) — ისლამური სამართლის ერთ-ერთი წყარო, მუსულმანთა „წმინდა წიგნი“, რომელშიც მოცემულია გადმოცემები მუჰამედის შესახებ.

ხ

ხარაჯა (არაბ.) — არამუსლიმებისათვის დაწესებული საადგილმამულო გადასახადი.

ჯ

ჯიზია (არაბ. ჯიზძიᲂა) — არამუსლიმებისათვის დაწესებული სულადობრივი გადასახადი.

ჰ

ჰანაფიტები (არაბ. ალ-ჰანაფია) — აბუ ჰანიფას მიერ დაარსებული სამართლებრივი სკოლის წარმომადგენლები.

ჰანბალიტები (არაბ. ალ-ჰანიბალა) — აჰმედ ბენ ჰანბალის მიერ დაარსებული სუ-ნიტური სკოლის სამართლებრივი სკოლის წარმომადგენლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რომის სამართლის წყაროები, გაიუსის ინსტიტუტიციები, (ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. ნ. სურგულაძემ), თბილისი, 2011.
2. რომის სამართლის წყაროები, იუსტინიანეს ინსტიტუტიციები, (ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. ნ. სურგულაძემ), თბილისი, 2002.
3. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, კ. გიგინეიშვილი, თბილისი, 1985.
4. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ბ.თეზელიშვილი, თბილისი, 2007.
5. სტრატეგოსები და კეისრები, (ძველი საბერძნეთისა და რომის სახელოვან მოღვაწეთა ცხოვრების აღწერილობანი ანტიკურ წყაროთა გათვალისწინებით შეადგინა ნანა ტონიამ), თბილისი 2007.
6. შუა საუკუნეების სამართალი, ტომი II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა, შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1962.
7. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2011.

8. დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბილისი, 1960.
9. იოსელიანი ლ., გორტინის კანონები, შესავალი, ტექსტი, თარგმანი კომენტარებითა და ლექსიკონით, თბილისი, 1966.
10.სურგულაძე ნ., ისლამური სამართალი, ტ. I, ლექციების კურსი, თბილისი, 2005.
11.სურგულაძე ნ., ისლამური სამართალი, ტ. II, ლექციების კურსი, თბილისი, 2005.
12.სურგულაძე ნ., ისლამური სამართალი, ტ. III, ლექციების კურსი, თბილისი, 2005.
13. Le nouveau Petit Robert de la langue française, Paris, 2009.
14. Le Petit Larousse, Paris, 2001.
15. Oxford Advances Learner's Dictionary, 2010.
16. Бартошек М., Римское право, понятия, термины, определения, Москва, 1989.
17. Латинско-Русский словарь, И.Х. Дворецкий, Д.Н. Корольков, Москва, 1949.
18. История государства и права зарубежных стран. Учебник для вузов. Т.1. Под общей ред. проф. Н. А. Крашенинниковой и проф. О. А. Жидкова. 3-е издание. Москва, 2005.
19. История государства и права зарубежных стран. Учебник для вузов. Т.2. Под общей ред. проф. Н. А.

Крашенинниковой и проф. О. А. Жидкова. 3-е издание. Москва, 2005.
20. Хрестоматия по истории древнего мира, Рим, под.ред. В.В, Струве, Москва, 1953

©მარიამ ხოფერია, 2012
©საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოება, 2012

საქართველოს
ახალგაზრდა
მეცნიერთა
საზოგადოება